# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

13 იანვარი, შაბათი, 1990 წ.
№ 8 (10 177) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


ეროვნული ბიბლიოთეკა

# „მაკაბის“ დაბადება

### მხარს უჭერენ ახალ თაოსნობას

**გასული** წლის მიწურულს, 17 დეკემბერს, ლენინგრადში ჩატარდა ესთეტიკისა და ფიზიკური კულტურის საკავშირო ებრაული საზოგადოების „მაკაბის“ I კონგრესი. ამ თავყრილობის ორგანიზება ითავა ვილნიუსის კოოპერატივ „პუნიას“ ხელმძღვანელობამ, რომელმაც, სხვათა შორის, დიდი ამაგი დასდო ლიტვის „მაკაბის“ შექმნას. სხვა რესპუბლიკებისა და ქალაქების 25 წარმომადგენელთან ერთად საქართველოდან მიწვეული ვიყავით მიხეილ გუნდიევი, დავით მანაშეროვი და ამ სტრიქონების ავტორი. კონგრესს ესწრებოდნენ საპატიო სტუმრებიც — „მაკაბის“ მსოფლიო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი და ევროპის კონფედერაციის თავმჯდომარე მიშელ გრიუნი (ბელგია), ფინეთის „მაკაბის“ პრეზიდენტი ლეო-დან ბენსკი, კანადის „მაკაბის“ პრეზიდენტი სიდნეი გრინდბერგი.

კონგრესზე სიტყვით გამოსულებმა ისაუბრეს მათ რესპუბლიკებსა და ქალაქებში მოქმედ ებრაულ კულტურულ-სპორტულ ორგანიზაციების საქმიანობაზე, აღნიშნეს, რომ მათ ფუნქციონირებას მხარს უჭერენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები.

ჩვენ, საქართველოს წარმომადგენლებმა, შეკრებილთ მოვუთხრეთ იმის შესახებ, რომ 26 საუკუნის განმავლობაში საქართველოში მცხოვრებ ებრაელებს ძმური და მეგობრული ურთიერთობა გვაკავშირებს ქართველებთან და საქართველოში მოსახლე სხვა ეროვნების წარმომადგენლებთან. ძმური დამოკიდებულების დასტურია საქართველოსა და ისრაელის ფართო წრეების დაინტერესება ურთიერთობის გაღრმავებაში. კულტურული და სპორტული დელეგაციების გაცვლაში. გავიხსენეთ თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა, მაია ჩიბურდანიძის და ედუარდ გუფელდის, „ორერას“, „ივერიის“ „თბილისის“ სტუმრობა ისრაელში, ჰაიფის „მაკაბის“ ფეხბურთელთა სამომავლოდ მოწვევა საქართველოში, ებრაელ ყმაწვილთა ქართული ცეკვის ანსამბლის გასტროლები საქართველოში. ითქვა იმის შესახებაც, რომ რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ და საზოგადოებრიობამ მხარი დაგვიჭირა ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა კვლევის ასოციაციის შექმნაში, ხელოვნების მუშაკთა სახლთან ებრაული კულტურის კერის ჩამოყალიბებაში, თბილისის 65-ე საშუალო სკოლასთან ებრაული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლ „დერეს-შალომის“ ჩამოყალიბებაში, საქართველოს კულტურის ფონდთან ორგანიზაცია „ავივის“ დაარსებაში. გამოვთქვით იმედი, რომ სათანადო მხარდაჭერით ისარგებლებს საქართველოში ებრაული კულტურულ-სპორტული საზოგადოების „მაკაბის“ შექმნის საორგანიზაციო კომიტეტი, რომელიც შეიკრიბება 1990 წლის 28 იანვარს ხელოვნების მუშაკთა სახლში.

ევროპის „მაკაბის“ კონფედერაციის თავმჯდომარემ მიშელ გრიუნმა სრული თანადგომა აღგვითქვა საქმიანობაში და გამოთქვა რწმენა, რომ საქართველოს „მაკაბის“ წარმომადგენლები, სხვა ეროვნების სპორტსმენებთან ერთად, მონაწილეობას მიიღებენ ევროპის 1991 წლის მაკაბიადაში, რომელიც მარსელში (საფრანგეთი) გაიმართება. ჩვენი აზრით, და ამისთვის ყველაფერს გავაკეთებთ, ეს იქნება კიდევ ერთი საიმისო საშუალებაც, რომ საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა პირველი ნაბიჯები გადადგას საერთაშორისო სარბიელზე გასასვლელად.

კონგრესის მონაწილეებმა ერთხმად გადაწყვიტეს: შეიქმნას ესთეტიკისა და ფიზიკური კულტურის საკავშირო ებრაული საზოგადოება „მაკაბი“, რომლის პრეზიდენტად აირჩიეს მიხეილ როსიცანი, ვიცე-პრეზიდენტებად — შულიმ ზეილიკოვიჩი და არკადი რეიტბლატი (სამივე ვილნიუსიდანაა).

აირჩიეს საბჭოს სამი განყოფილება, რომელთა შემადგენლობაში შევიდნენ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებიც: სპორტულში — მიხეილ გუნდიევი, კულტურულში — შოთა იაკობაშვილი, იურიდიულში — დავით მანაშეროვი.

**შოთა იაკობაშვილი.**

პროფკავშირების სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის

# მიმართვა

### ძირეულ პროფკავშირულ ორგანიზაციებისადმი, შრომითი კოლექტივების საბჭოებისა და ხელმძღვანელებისადმი, სპორტული კლუბებისა და ფიზკულტურის კოლექტივებისადმი

ძვირფასო მეგობრებო!

**საქართველოს** სრული სუვერენიტეტისაკენ მიმავალ რთულ გზაზე ერთ-ერთ უპირველეს პრობლემას ეკონომიკური ჩამორჩენილობის დაძლევა წარმოადგენს, რაც შეუძლებელია ადამიანების ჯანმრთელობაზე საყოველთაო ზრუნვის გარეშე.

ამ თვალსაზრისით პროფკავშირული ორგანიზაციების ცხოვრებაში ამჟამად მთავრდება ისეთი საპასუხისმგებლო კამპანია, როგორიცაა ხელშეკრულებების გაფორმება შრომით კოლექტივებსა და ადმინისტრაციას შორის შრომის დაცვისა და მთელ რიგ სოციალურ საკითხებზე 1990 წლისათვის. კოლექტიური ხელშეკრულება მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტია, იგი პროფკავშირული ორგანიზაციების მთავარი ფუნქციის, — მშრომელთა კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვის ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს.

იმის გათვალისწინებით, რომ დღეს შრომით კოლექტივებს მინიჭებული აქვთ სრული უფლება თვითონ განსაზღვრონ კოლექტიური ხელშეკრულებების სტრუქტურა და შინაარსი, პროფკავშირების სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ ხელშეკრულებებში ჩართოს ისეთი კონკრეტული პუნქტები, როგორებიცაა ავადმყოფობის პროფილაქტიკა, მშრომელთა და მათი ოჯახის წევრთა გაჯანსაღება ფიზიკური კულტურისა და მასობრივი სპორტის მეშვეობით.

მიიჩნევს რა თავის გადაუდებელ ამოცანად ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისათვის ზრუნვას ერის სადღეისო ამოცანებიდან გამომდინარე, რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი მოუწოდებს საზოგადოების საოლქო, საქალაქო და რაიონულ საბჭოებს, წარმოება-დაწესებულებების, გაერთიანებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პროფკავშირულ ორგანიზაციებს, სპორტულ კლუბებსა და ფიზკულტურის კოლექტივებს აღნიშნული ხელშეკრულებების კორექტირებისა და საბოლოო სახით ჩამოყალიბების დროს გათვალისწინებულ ხელშეკრულებებში შეიტანონ ისეთი პუნქტები, რომლებიც უზრუნველყოფენ:

— ფიზიკურ კულტურასა და სპორტში მშრომელთა მასობრივად ჩაბმისათვის სათანადო პირობების შექმნას (სპორტული ნაგებობებისა და მარტივი ტიპის მოედნების მშენებლობა, დასვენების ზონების, ჯანმრთელობის ცენტრების, სატრენაჟორო და ფსიქოლოგიური განტვირთვის ოთახების მოწყობა და სხვა).

— ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი ჯგუფებისა და სხვადასხვა მოყვარულთა კლუბების, სპორტული სექციების რაოდენობის ზრდას;

— ორგანიზაციების საშტატო განრიგში ფიზკულტურის მეთოდისტებისა და ფიზკულტურის კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობების შემოღებას;

— ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობისათვის გამოყოფილი სახსრების განუხრელ ზრდას;

— მუშათა სპარტაკიადის მასშტაბების გაფართოებასა და მასში მშრომელთა მასობრივად ჩაბმას.

— იმ მუშა-მოსამსახურეთა მატერიალურ სტიმულირებას, რომლებსაც არ ექნებათ გაცდენები ავადმყოფობის გამო, ფიზიკური კულტურისა და სპორტის საშუალებებით გაიკაჟებენ რა თავის ორგანიზმს და შეასრულებენ საწარმოო დავალებებს.

სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი გამოთქვამს ღრმა რწმენას, რომ აღნიშნული საკითხების გადაწყვეტის საქმეში ფიზკულტურის კოლექტივების აქტიურ პოზიციას ყურადღებით მოეკიდებიან და მხარს დაუჭერენ შრომითი კოლექტივების საბჭოები, სამეურნეო ხელმძღვანელები და პროფკავშირული აქტივი, რაც საბოლოო ჯამში მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს რესპუბლიკის ეკონომიკის გაჯანსაღებას, მის საერთო წინსვლას.

**პროფკავშირების სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი.**

# ნინო ხურციძემ განიმტკიცა ლიდერობა

**კალინინგრადში** მიმდინარე მოჭადრაკე გოგონათა საკავშირო პირველობაზე მორიგი გამარჯვება მოიპოვა საქართველოს ჩემპიონმა როგორც გოგონათა, ისე ქალთა შორის თბილისელმა ნინო ხურციძემ და ახლა ექვსი ტურის შემდეგ 5,5 ქულით ერთპიროვნულად ლიდერობს შეჯიბრებას. 4,5-4,5 ქულით სხვა მეტოქეებთან ერთად II-VII ადგილებს იყოფენ ნათია ჯანჯღავა, ნატო ეძგვერაძე და თეა ლანჩავა, სოფიკო ნიკოლაძეს 4 ქულა აქვს.

**გიორგი ხომერიკი,**
დეპეშით, „ლელოს“ სპეც. კორ.

პასუხი „ლელოს“ — ქმედითობა

# „ვგმგმავთ და ვგმგმავთ...“

ამ სათაურით „ლელოს“ 6 და 7 იანვრის ნომრებში გამოქვეყნდა კრიტიკული პუბლიკაციები. კრიტიკა ეხებოდა მოსწავლეთა ზამთრის არდადეგების დღეებში თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში დაგეგმილი სპორტული ღონისძიებების ჩატარებას. თქვენი კრიტიკული გამოსვლის პასუხად გაცნობებთ, რომ ამ საკითხზე თბილისის სახალხო განათლების სამმართველოში 9 იანვარს, განათლების განყოფილებათა გამგეების თანდასწრებით, პრინციპული მსჯელობა გაიმართა. სრულიად სამართლიანად მივიჩნიეთ კრიტიკა 99-ე, 87-ე, 27-ე, მე-8 ექსპერიმენტულ და 43-ე სკოლების მიმართ.

რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებს დაევალათ, ჩამოართვან განმარტება შესაბამისი სკოლების ხელმძღვანელებს, თავიანთი საბჭოს სხდომაზე მკაცრად და სათანადოდ იმსჯელონ დანაშაულზე.

**ჯ. ფერაძე,**
თბილისის განათლების სამმართველოს უფროსის პირველი მოადგილე.





# „უიტბრედი“ ისვენებს

**ბრძელდება** აფროსანთა რეგატა მსოფლიოს გარშემო „უიტბრედი“. როგორც ვიუწყებოდით, საბჭოთა ნავი „ფაზისი“ მესამე ეტაპის ფინიშზე (ახალი ზელანდიის პორტ ოკლენდში) მეათე იყო, რაც არც ისე ურიგო შედეგი გახლავთ, თუ გავითვალისწინებთ, რომ რბოლაში 23 ნავი მონაწილეობს. თებერვლის დასაწყისში დაიწყება მეოთხე ეტაპი. მონაწილენი ახალი ზელანდიიდან ურუგვაისკენ აიღებენ კურსს.

მანამდე კი რბოლის მონაწილენი ეცნობიან ერთმანეთს. ახალზელანდიელმა აფროსნობის მოყვარულებმა საბჭოთა ნავს მაღალი შეფასება მისცეს.

**სურათებზე:** საბჭოთა იალქნიანი ნავის ეკიპაჟი: პირველ რიგში მარცხნივ „ფაზისის“ ეკიპაჟის ხელმძღვანელი, ამერიკელი შკიპერი — სკიპ ნოვაკი; ახალზელანდიელმა მოყვარულებმა დიდი ინტერესით დაათვალიერეს საბჭოთა ნავი და სამახსოვრო ფოტოც გადაიღეს.

საქდესისა და საქინფორმის ფოტოები.

# ვაჟკაცების გვერდით მუდამ ვაჟკაცები არიან

**ქართული** მთამსვლელობის თანავარსკვლავედს ნათელ ზოლად გასდევს კაკო მარის და მისი მეგობარი სვანი ოთხეულის — ბექნუ ხერგიანის, ჰიჰიკო ჩართოლანის, გოჯი ზურებიანის და მაქსიმე გვარლიანის სახელები, რომლებიც შხელდა-უშბის ლეგენდარულმა ტრავერსმა წარმოაჩინა როგორც შესანიშნავი ხუთეული. ქართველ მთამსვლელთა ტრიუმფი და საქვეყნო აღიარებაც აქედან იწყება.

ამ ხუთეულიდან სამნი, კაკო მარი, ბექნუ ხერგიანი და მაქსიმე გვარლიანი პერიოდულად დღესასწაულებზე კიდევ ახსენებენ თავს ერთმანეთს. მათ შორის ყველაზე უმცროსს, გვარის მახვშს მაქსიმე გვარლიანს, მესტიაში, წმინდა გიორგის ტრადიციულ საგვარეულო დღესასწაულზე დაბადებიდან 75 წელი მიულოცეს.

რთული და წინააღმდეგობით აღსავსე ცხოვრების გზა განვლო სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა მაქსიმე გვარლიანმა. 42 სულიან ოჯახიდან გაყრის შემდეგ მამას სანახევროდ აშენებული სახლი ერგო. მეორე ქორწინებაში შეძენილი ნაბოლარა ვაჟი მაქსიმელა შერჩა უკვე დასნეულებულ კაცს. გამრჯე და მომთმენი დედა რომ არა, ოჯახი, ალბათ, ფეხზე ვერ დადგებოდა. სვანეთში ამგვარი შემთხვევებიც ბევრჯერ ყოფილა. ცხრა თუ ათი წლის ბავშვმა სკოლაშიც ორიოდე კვირა თუ იარა, მერე ცელქობისათვის მასწავლებელმა ყური აუწია, პროტესტის ნიშნად მაქსიმე ფანჯრიდან გადახტა. იმ დღის შემდეგ იგი სკოლაში ვერავინ ვერ მიაბრუნა. ქართული წერა-კითხვა 15 წლისამ ისწავლა. 20 წლისამ ნალჩიკში პროლეტარული ტურიზმისა და ალპინიზმის ინსტრუქტორ-გამყოლთა ორთვიანი კურსების გავლით დაამთავრა მაქსიმემ სწავლა-განათლება.

მთაში სიარული, როგორც ყველა სვანმა, ნადირობით დაიწყო, დედით ძმებმა ბესარიონმა და გაბრიელ ხერგიანებმა წაიყვანეს პირველად სანადიროდ. ნადირობის დროს რამდენიმე მწვერვალიც დალაშქრეს ლეხზირის ხეობაში. მწვერვალებზე სულ უცხოელთა წერილები ხვდებოდათ. როგორც შემდეგ შეიტყვეს, ცხრაასიან წლებში უცხოელ მთამსვლელებს მრავალი მწვერვალი დაუპყრიათ ცენტრალურ კავკასიონზე, სვანეთის ქედზე, ლეხზირის ხეობაში, მათ შორის მწვერვალთა მეფე უშბაზეც ორჯერ ასულან.

მაქსიმესათვის და მისი მეგობრებისათვის ყველაზე დასამახსოვრებელი იალბუზის დაპყრობა იყო. 1937 წლის ზამთარში ბალყარეთსა და სვანეთს შორის მტრობის და შუღლის მოსპობის მიზნით, მესტიიდან 25-კაციანი დელეგაცია გადავიდა უღელტეხილით ბაქსანის ხეობაში. დიდი თეატრალიზებული შეხვედრების, შერიგების და ძმობის დამკვიდრების ცერემონიალის შემდეგ, სვანთა დელეგაციამ იალბუზზე ასვლის სურვილი განაცხადა. ბალყარელთა უარის მიუხედავად დელეგაცია მაინც წავიდა, 12 თებერვალს 9 კაცმა მიაღწია მწვერვალს. ზამთრის პირობებში ეს ასვლა რიგით მეორე გამოდგა, თანაც ერთდროული 9 კაცის შემადგენლობით. ასვლა საკმაოდ გახმაურდა, რესპუბლიკის მთავრობამ ასვლის მონაწილეები სანადირო თოფებით დააჯილდოვა. იმავე წლის სექტემბერში მესტიელ მონადირეთა ხუთეულმა გაბრიელ, ბესარიონ, ბექნუ ხერგიანებმა, ჰიჰიკო ჩართოლანმა და მაქსიმე გვარლიანმა სამხრეთი უშბა აღმოსავლეთი კედლით დაიპყრეს. როგორც შემდეგ გაირკვა, ეს ასვლა მთამსვლელობის განვითარებაში ახალი ეტაპის, ანუ როგორც მას დღეს უწოდებენ, „ტექნიკური კლასის“ შექმნა იყო. ეს გზა დღესაც გაბრიელის სახელით არის ცნობილი და მთამსვლელთა მომზადების შემოწმების ეტალონად ითვლება; ასვლის სირთულის შესახებ მათ მაშინ არ იცოდნენ.

ორმოცმეტრიან შვეულ კედელზე გაბრიელს ათიოდე მეტრი ექნებოდა დაძლეული, რომ მაქსიმეს გასძახა გაჰყოლოდა და კედელზე ჩაჭედებული პალოები ამოეღო და გადაეწოდებინა. ასე გაიარეს მთელი კედელი, მაქსიმემ ოთხი პალო ვეღარ ამოაძრო (მათგან ორი პალო 50 წლის შემდეგ საიუბილეო ასვლისას მესტიელმა მთამსვლელმა ნუგზარ ნიგურიანმა ამოიღო. ისინი ახლა მიხეილ ხერგიანის მემორიალური მუზეუმის ერთ-ერთი უძვირფასესი ექსპონატებია). კედლის თავში გაბრიელი დიდხანს შეყოვნდა. მაქსიმეც და კედლის ძირში მომლოდინე სამეულიც გულის ფანცქალით ელოდნენ როდის აათავებდა გაბრიელი ამ ჯოჯოხეთურ უფსკრულებს. პალოს ჩასაჭედებელი ადგილი ვერ ეპოვნა. — მაქსიმე, — დაუძახა გაბრიელმა, — ჩემზე გაცილებით მჩატე ხარ, თუ გადმოვარდები, მაინც დაგიჭერ, პალოც სანდოდ მაქვს ჩაჭედებული. მაქსიმეს გაახსენდა გიო ნიგურიანმა უშბის დაპყრობისას ფეხშიშველმა რომ გაიარა „წითელი კუთხის“ ურთულესი მონაკვეთი... მაქსიმემაც ფეხთ გაიხადა. შიშველი ფეხები მაგნიტივით ეწებებოდა გლუვ კლდეზე, წონასწორობით გაიარა ათიოდე მეტრი, სამშვიდობოს გავიდა. ამის შემდეგ სამიოდ საათში მთელი ხუთეული მწვერვალზე გამარჯვებას ზეიმობდა. თავისი მნიშვნელობით არც 1938 წლის თეთნულდის მასობრივი ალპინიადა იყო წინა ასვლებზე ნაკლები. 1929 წლის მარცხის (დაიღუპნენ სიმონ ჯაფარიძე და პიმენ დვალი) შემდეგ თეთნულდი საშიშ მწვერვალად ითვლებოდა, 182 კაცის ერთდროული ასვლა დიდი მიღწევა იყო, ამით ჩაეყარა საფუძველი რთულ მწვერვალებზე მასობრივ ალპინიადებსაც, ეს ასვლა განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო მაქსიმესათვისაც, ვინაიდან, როგორც ინსტრუქტორს და ერთ-ერთ ხელმძღვანელს, სამჯერ მოუწია მწვერვალზე ასვლა. სამ დღეში ამგვარი დატვირთვა დიდ ძალას და გამძლეობას ითხოვდა.



მაქსიმე გვარლიანი

არც ომის დროს, კავკასიის დაცვისას იყვნენ გულხელდაკრეფილნი მესტიელი მთამსვლელები, სპეციალური დანიშნულების სვანთა რაზმის შემადგენლობაში მრავალი სასახელო და დაუვიწყარი ეპიზოდი ჩაწერეს, მათ შორის გერმანელთა ბანაკიდან ცოცხალი ენის შეპყრობა იყო ყველაზე მნიშვნელოვანი.

მაქსიმეს ხშირად ეკითხებიან, რომელი ასვლები იყო დასამახსოვრებელიო, მას უჭირს რომელიმეს გამოყოფა. შხელდა-უშბის ტრავერსი მსოფლიო მნიშვნელობის მიღწევად ჩაითვალა, თუ გავითვალისწინებთ მაშინდელ აღჭურვილობას და კლიმატურ პირობებს, რაც ტრავერსის დროს შეხვდათ, იგი მართლაც შეუდარებელია. მარტო დაცვის თოკი რომ ავიღოთ, 40 კილოგრამს იწონიდა, ასევე ძალიან მძიმე იყო კარავიც. სტიქიამ ექვსი დღე „ჩაკეტა“ ჯგუფი ცენტრალური შხელდის კედელზე და სურსათი გამოელიათ. მაქსიმემ ზურგჩანთის ჯიბეში შემთხვევით დარჩენილი ვაშლი იპოვა, ხუთად გაჭრა, პირველად, რა თქმა უნდა, ყველაზე უფროსს კაკოს მიაწოდა. — „დიდხანს ვზომავდი თვალით — იგონებდა შემდეგ კ. მარი — ამერჩია უფრო დიდი ნაჭერი, მაგრამ ამაოდ, ყველა ერთნაირი ზომისა იყო“. მთაში ასეა: თანასწორობა და ურთიერთ გაგებაა გამარჯვების საწინდარი.

თავისი მნიშვნელობით და სირთულით ყველაზე რთული მაინც ენგელსის სახელობის მწვერვალის დაპყრობა იყო პამირში. საბჭოთა მთამსვლელობის კორიფეების მიერ აღიარებული იყო, რომ მწვერვალის დასაპყრობად საბჭოთა მთასვლური სკოლა ჯერ მზად არ არის. კაცის მოუსვენარი გონება მაინც მიუღწევლისკენ იწევს, მაქსიმეც წავიდა დასაზვერად, სანადიროდ ენგელსის მწვერვალის მისადგომები აირჩია. ორი დღე იარა, მწვერვალზე ასასვლელი გზაც მოინიშნა და ვეებერთელა „ჯიქიც“ მოკლა. მწვერვალზე ასვლას შესაძლებლად თვლის...

თვითონ არ იყო მოიერიშე ჯგუფის ხელმძღვანელად დანიშნული, მაგრამ ამას მისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა. მთავარი იყო დაუძლევლად ჩათვლილი მწვერვალის დაპყრობა. ყველაფერმა კარგად ჩაიარა, კირილე კუზმინმა, ალექსი ნემსიწვერიძემ, გრიშა გულბანმა და მაქსიმემ ხუთი დღის ჭიდილის შემდეგ მწვერვალს მიაღწიეს. ხელმძღვანელმაც და წევრებმაც ერთხმად აღიარეს, მაქსიმე რომ არა, მწვერვალს ვერ დავიპყრობდით, ხელმძღვანელობაც მას ეკუთვნისო.

მომდევნო წლის სასიმაღლო ექსპედიციის მოიერიშე ჯგუფის ხელმძღვანელობა საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციამ მაქსიმეს დააკისრა. სანამ კომუნიზმის პიკის დაპყრობას შეუდგებოდნენ, რამდენიმე მწვერვალი დალაშქრეს. ამ პერიოდში ყველაზე მომზადებული ხუთეული შეირჩა ძირითადი ამოცანის გადასაწყვეტად — კომუნიზმის პიკის დასაპყრობად. 6600 მეტრზე ზემოთ ძირითად ბანაკთან მხედველობითი სასიგნალო კავშირი წყდებოდა, რაცია არ ჰქონდათ, ერთ-ერთი მონაწილე უნდა დარჩენილიყო, რათა საჭიროების შემთხვევაში სწორად ემოქმედნა. ჯგუფში ხელმძღვანელი იყო ყველაზე ტიტულოვანიც და გამოცდილიც, ასეთ შემთხვევაში კენჭის ყრით წყდება საკითხი, მაგრამ მაქსიმემ გაითვალისწინა, რომ ახალგაზრდებს გული დაწყდებოდათ, თვითონ იკისრა დარჩენა, ხელმძღვანელობა იოსებ კახიანს გადაულოცა. ჯუმბერ მეძმარიაშვილმა, ლევან ახვლედიანმა და მიხეილ ხერგიანმა მწვერვალი დაიპყრეს. ტაქტიკური ჩანაფიქრი სწორი გამოდგა. ასე რომ არ მოქცეულიყო მაქსიმე, ვინ იცის, საქმე როგორ დამთავრდებოდა. საქართველოს გუნდმა პირველად დაიმშვენა მკერდი საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ოქროს მედლებით. მაქსიმეს მედალი არ ერგო, მაგრამ მისი საქციელი ქველა მედალზე მაღალია. მაქსიმეს სხვაც ბევრი აქვს მოსაყოლი, მაგრამ...

გვარლიანები ძველთაგან მშრომელი და მომღერნი ყოფილან. ლხინი და შრომა იყო ძველი სვანური სასიმღერო ეპოქის შექმნის და თაობიდან თაობაზე გადაცემის ძირითადი საშუალება. მაქსიმემაც იცის ძველი სიმღერები და საგალობლები. ფერხულები და, რაც მთავარია, ცეკვა ცერული. როცა მესტიაში ეთნოგრაფიული გუნდი შეიქმნა, მაქსიმეც ჩაეწერა. შემდეგში იგი სახელმწიფო ანსამბლად გადაკეთდა. ცნობილი ლოტბარის პლატონ დადვანის ხელმძღვანელობით ეს გუნდი წლების განმავლობაში ქუხდა საქართველოში.

1939 წელს მაქსიმე საქართველოს სიმღერის და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში მოხვდა, შემდეგ მოსკოვში საკავშირო ოლიმპიადაზე წაიყვანეს. იქაურმა მაყურებელმა მრავალჯერ დააჯილდოვა მისი ბუქნა, ჯვარედინა და ცალფეხზე შესრულებული ცერული მქუხარე ტაშით. მან დღესაც არ იცის რატომ მოხდა, რომ დიდ თეატრში დასკვნით კონცერტზე სვანური ცეკვა შეასრულებინეს ანსამბლის სხვა წევრს, რომელსაც ცეკვის დროს უძირო გასკდომია და ბამბის ნაჭერი გადმოვარდნილა, ინანეს თურმე ხელმძღვანელებმა, — „შევცდით, სვანი უნდა გამოგვეყვანა“.

— მაშინ გავიგე პირველად, — სინანულით ამბობს მაქსიმე — რომ ცხოვრების ჩილული გზის გარდა არსებობს ფარული და ბნელი, თვითგანდიდების გზა, რომლითაც ყველაზე ძლიერიც შეიძლება დაამარცხო. იგი სამარცხვინოა და ადრე თუ გვიან მაინც დაიგმობა.

ამ უხილავი და სამარცხვინო გზის არსებობაში მრავალჯერ დარწმუნდა. უკვე საქვეყნოდ ცნობილი მთამსვლელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი კოლმეურნეობის წვრილფეხა საქონლის ფერმის ბრიგადირად დანიშნეს. 150 სულიდან სამ წელიწადში სულადობა 670-მდე აიყვანა. როცა საკითხი სოციალისტური შრომის გმირის წოდების წარდგენაზე დადგა, თავი იჩინა რაღაც არაჯანსაღმა ინტრიგებმა. მაქსიმემ ფერმა გადააბარა. მერე სამი წელიც არ დასჭირდა ჯოგის განადგურებას...

მაქსიმე მხოლოდ სპორტშია ფორტუნის მადლიერი, მთაში ბედი სწყალობდა. მის გვერდით ყოველთვის კარგი ვაჟკაცები იყრიდნენ თავს, ყოველთვის გრძნობდა მათ სიყვარულს. ეს სიყვარული დღესაც ამხნევებს მას და მომავლის რწმენას უმტკიცებს.

**ლერი მუსხელაძე.**
მესტია.

# „მზიური“ მზის დარად ვაქციოთ...




**ალბათ,** ყველა ბავშვს სიზმარში მაინც უნახავს რაღაც ზღაპრული, ლამაზი სამყარო, აი დაახლოებით ისეთი, აშშ-ი რომაა ცხადად ქცეული — დისნეილენდი. ჩვენს „მზიურს“ — ნოდარ დუმბაძის სახელობის ბავშვთა ქალაქს — ამ ლამაზ ამერიკულ ქალაქამდე, რბილად რომ ვთქვათ, ბევრი აკლია, მაგრამ მის დღევანდელ მესვეურებს, დაგვერწმუნეთ, საამისოდ მონდომებაც აქვთ და კარგად გააზრებული ახლო თუ შორეული მომავლის დიდი გეგმა. ჩვენი მასპინძლობა და „ექსკურსიამძღოლობა“ „მზიურის“ დირექტორის მოადგილემ რევაზ მებუკემ ითავა.

სასიხარულოა, რომ მზიურელებს მტკიცედ გადაუწყვეტიათ, ბავშვთა ქალაქმა სპორტული ქალაქის იერიც მიიღოს. პირველი, რაც აქ თვალში გვეცა, ეს ლითონის უზარმაზარი ჩოგანი იყო, რომელიც ახალი კორტების წინ დაუდგამთ მშენებლებს. ჩოგბურთის მოედნების ცნობილი სპეციალისტი ჟანი გოგილაშვილი მეორე კორტს უკანასკნელ „კოსმეტიკას“ უტარებდა. იგი სპორტულ-გამაჯანსაღებელ კოოპერატივ „ყაბახს“ ეკუთვნის. მალე აქ კიდევ ორი კორტის მშენებლობა დამთავრდება. ყველა მათგანს სპეციალური განათება გააჩნია. პერსპექტივაში კი აქ 16 კორტი იქნება, აქედან ორს 5.000-ადგილიანი ტრიბუნები აუშენდება. სულ მალე „მზიურში“ მუშაობას შეუდგება ჩოგბურთის სკოლა, სადაც რამდენიმე ასაკობრივი ჯგუფი (6-დან 18 წლამდე) ივარჯიშებს. ცალკე იქნება ჯანმრთელობის ჯგუფიც, რომელშიც 18 წელზე მეტი ასაკის ადამიანები იმეცადინებენ. ჯგუფები ფასიანია, მაგრამ კარგი პერსპექტივის მქონე ბავშვები ჩაირიცხებიან სპორტული სრულყოფის ჯგუფში. განზრახულია ჩოგბურთელთა საკუთარი გუნდის ჩამოყალიბებაც, მზიურელები დამოუკიდებლად გამოვლენ სხვადასხვა ახალგაზრდულ ტურნირში.

უკვე მზადაა საცხენოსნო კომპლექსი დახურული მანეჟით, საჯინიბოთი და სხვა სათავსოებით. ეს ბავშვთა საცხენოსნო კლუბის კუთვნილებაა. აქ დაინერგება როგორც ცხენოსნობის ეროვნული და კლასიკური სახეობები, ისე საცხენოსნო ტურიზმი, რომლის მარშრუტი მდინარე ვერეს ხეობას აჰყვება ბეთანიამდე. ჯერჯერობით „მზიურში“ არ ისმის ცხენთა ჭიხვინი — მიმდინარეობს უკანასკნელი სამუშაოები. ისიც გვითხრეს, რომ სულ პატარებს აქ დახვდებათ პონები (პატარა ცხენები). მაგრამ ესეც ხვალინდელი დღეა, ახლა კი აქ დაუდგამთ ლითონის „ბავშვისა და პონის“ მოხდენილი ქანდაკება, რომლის ავტორია ცნობილი მოქანდაკე გია ჯაფარიძე. მასვე დავალებული აქვს მანეჟის მთელი კომპლექსის გაფორმებაც.

„მზიურში“ მოგვიანებით დაიწყება ფრენბურთის მოედნების მშენებლობა, რასაც, ცხადია, ამ სახეობის ჯგუფების ჩამოყალიბება მოჰყვება, მუშაობენ კეტბურთის ტრიბუნებიანი მოედნის პროექტზეც. აქვე დაიდგმება ჩოგბურთის 10 მაგიდა. შემდეგ, როგორც გვითხრეს, მზიურელებს სპორტის სხვა სახეობებიც სურთ განავითარონ თავიანთ ქალაქში.

„მზიურში“ მოწყობილია კარტინგების წრიული ტრასა ვირაჟებით, მალე აქ 5 ახალ კარტინგს მიიღებენ, გაიხსნება ფასიანი და სპორტული ჯგუფები, რომლებსაც დოსააფის გამოცდილი ინსტრუქტორები უხელმძღვანელებენ, მოეწყობა შეჯიბრება ბავშვთა ქალაქის პრიზზე.

ბევრი სიახლენი და უფრო მეტი გეგმები აქვთ მზიურელებს, ცხადია, „არასპორტული“ პროფილითაც: მიმდინარეობს „მზიურის“ მთელი ტერიტორიის ცენტრალური განათების სამუშაოები (ადრე მხოლოდ შემოსასვლელი იყო განათებული), შეიქმნა კომპიუტერების ჯგუფი, სადაც ძირითადად პირველხარისხოვანი ძვირადღირებული იაპონური აპარატურა დგას. შემდგომში აქ განზრახული აქვთ დიდი კომპიუტერული ცენტრის შექმნაც. გაიზარდა ბავშვთა გასართობი ატრაქციონების რიცხვი — ჩამოიტანეს და მონტაჟდება 4-ვაგონიანი ავტოატრაქციონი „სვეტოფორი“, ბავშვთა რკინიგზა სამი ვაგონით, აკეთებენ აგრეთვე ე. წ. ატრაქციონ „ამერიკულ მთებს“. უკვე დამთავრდა კარუსელ „გვირილას“ დამონტაჟება, მთავრდება კინოთეატრ „ლოკოკინას“ მშენებლობაც.

კიდევ უფრო ლამაზი გახდება ხელოვნური კუნძული, რომელიც მდინარე ვერეს წყლის შუაზე გაყოფით შეიქმნა. აქ მოთავსებულია ბავშვთა სხვადასხვა სავარჯიშო დანადგარები: ასაცოცებლები, შვეული ბაგირი, მისაზიდი, საქანელა და სხვა. აქვე მიმდინარეობს აგრეთვე ნაპირგასამაგრებელი სამუშაოები, მდინარე ვერეზე მთავრდება დიდი ხიდის მშენებლობა, რომელიც ერთმანეთს შეაერთებს საბურთალოსა (ხილიანის ქუჩა) და ვაკეს (ჭავჭავაძის პროსპექტი). ირგვება წიწვოვანი, ფოთლოვანი ხეები, ბუჩქები, რაზეც ადგილობრივი აგროსამსახური ზრუნავს.

აქვე უნდა აშენდეს ბავშვთა წიგნის სასახლე, აგრეთვე თეატრის შენობა, რომელსაც ცნობილი მომღერალი ირმა სოხაძე უდგას სათავეში, გადაკეთდება წყლის უმოქმედო ატრაქციონი, სადაც ბავშვებს ერთდროულად ხუთამდე ნავით შეეძლებათ დამოუკიდებლად სეირნობა.

გაივლის მცირეოდენი დრო და მზისა და სიხარულის დარი „მზიური“ ჩვენი ბავშვების, ჩვენი მომავალი სპორტსმენების კიდევ უფრო საყვარელი ადგილი გახდება.

**ოთარ ოთარაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მაგიდის ჩოგბურთელები ემზადებიან

**დიდი** დრო აღარ დარჩა მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადამდე, ამიტომ ჩვენი მწვრთნელებისთვის მანამდე დარჩენილი დრო ძალიან ძვირად ფასობს, ასევე მოსწავლეთა ყველა რანგის შეჯიბრებაში მოპოვებული გამარჯვებაც.

სწორედ მოსწავლეთა სპარტაკიადისთვის მზადების მიზნით ჩატარდა მაგიდის ჩოგბურთელთა შეკრება-შეჯიბრება, რომელიც თბილისში, საქართველოს სპორტსახკომის საფარიკაო დარბაზში გაიმართა. ძირითადი მიზანი, ცხადია, მოსწავლეთა ნაკრების კანდიდატების შერჩევა გახლდათ.

შეჯიბრებებზე თავი მოიყარა 60 მონაწილემ (აქედან 30 რაიონიდან იყო), რომლებიც წრიული სისტემით ხვდებოდნენ ერთმანეთს.

გოგონათა შორის პირველი ადგილი დაიკავა სოხუმელმა ოლგა ჩაჩავამ, მეორე — თბილისელმა თეა კეკელიამ, მესამე — ბათუმელმა მადლენა ქლენტმა. ბიჭებში ტოლი არ ჰყავდა თბილისელ რამაზ რამაზაშვილს, მეორე და მესამე ადგილები ასევე თბილისელებმა დაისაკუთრეს — გაიოზ ცაგარეიშვილმა და ალექსი შევჩუკოვმა.

## ფეხბურთის ახალი ამბები

# ვ. გრანატკინის მემორიალზე

**11 იანვარს** ლენინგრადის სპორტულ-საკონცერტო კომპლექსში დაიწყო ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პირველი ვიცე-პრეზიდენტის ვ. ა. გრანატკინის სახელობის ტრადიციული, რიგით X საერთაშორისო ტურნირი მოზარდთა გუნდებს შორის (1972 წელს დაბადებულნი). ტურნირში მონაწილეობენ გდრ-ის, გფრ-ის, ჩინეთის, ფინეთისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდები (საბჭოთა კავშირი ორი გუნდით მონაწილეობს შეჯიბრებაში, მეორე ნაკრები დაკომპლექტებულია 1973 წელს დაბადებული ფეხბურთელებით).

სსრ კავშირის პირველმა ნაკრებმა სასტარტო მატჩი გდრ-სთან გამართა და გაიმარჯვა ანგარიშით 3:1, ხოლო მეორე ნაკრებმა ფინელ ფეხბურთელებს სძლია — 4:1.

პირველი დღის მოულოდნელობა იყო დასავლეთგერმანელთა მარცხი ჩინეთის გუნდთან — 0:3.

ვ. გრანატკინის მემორიალი 19 იანვრამდე გასტანს.

## დიეგო მარადონას „საქმე“

**ცნობილი** არგენტინელი ფეხბურთელის დ. მარადონას გარშემო პრესაში ამას წინათ დიდი ხმაური ატყდა. რომში გამართული მსოფლიო ჩემპიონატის წილისყრის შემდეგ მარადონამ განაცხადა, რომ ეს იყო ნამდვილი სპექტაკლი, სადაც ყველაფერი გაკეთდა საიმისოდ, რათა იტალიელებმა იოლად გაიკაფონ გზა ჩემპიონატის დასკვნითი თამაშებისთვის. წილისყრისას მხოლოდ ორი ადამიანი იყო „წმინდა“: მსახიობი სოფი ლორენი და მომღერალი ლუჩანო პავაროტი.

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრესის შეფმა გვიდო ტონიონიმ ამის თაობაზე თქვა:

— ბოლო ხანებში ასეთი სისულელე არ უთქვია მსოფლიოს არც ერთ ფეხბურთელს.

მაგრამ საქმე ასე ადვილად არაა. ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის წესდებაში უწერია, რომ განკუთვნილია სასჯელი იმ პირთა მიმართ, ვინც დაუსაბუთებელ ბრალდებას წაუყენებს ამ ორგანიზაციას. ამიტომაც შესაძლო იყო, დიეგო მარადონა არც დაეშვათ მსოფლიო ჩემპიონატის თამაშებზე...

ასეთ მძიმე სანქციას გამოჩენილი ფეხბურთელის მიმართ სხვებიც მოელოდნენ. მაგრამ მარადონამ შემდგომში განაცხადა, რომ, თუ საჭიროა ბოდიშსაც მოიხდის ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის წინაშე, რომ მას დიდი სურვილი აქვს ითამაშოს იტალიის მსოფლიო ჩემპიონატში. მაგრამ მარადონამ ისიც დაუმატა, რომ მხოლოდ გამოთქვა ის, რასაც სხვა ათასობით ადამიანი ფიქრობს. ამაში არგენტინელ ფეხბურთელს გაზეთები დაეთანხმნენ, კერძოდ, ესპანური „ინდეპენდიენტე“.

საქმე გართულდა. მარადონას მხარი დაუჭირა არგენტინის ნაკრების მწვრთნელმა კარლოს ბილარდომ, რომელმაც უაპელაციოდ განაცხადა:

— თუ მარადონას მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის უფლებას არ დართავენ, არგენტინის ნაკრები იტალიაში არ ჩავა...

ბოლო ხანებში ცნობილი გახდა, რომ ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციას მაინც არა აქვს განზრახული დასაჯოს მარადონა. უფრო მოსალოდნელია, რომ არგენტინის ან იტალიის ფეხბურთის ფედერაციები გარკვეულ ზემოქმედებას მოახდენენ დიდებითა და სიმდიდრით გარემოცული ფეხბურთელის მიმართ, რომელიც პირველად არ ვარდება უხერხულ მდგომარეობაში თავისი წინდაუხედაობის გამო.



**ფეხბურთის** საერთაშორისო ფედერაციის მსაჯთა კომიტეტს განზრახული აქვს 26-29 მარტს იტალიაში მოაწყოს სემინარი, სადაც მოიწვევს მსოფლიო ჩემპიონატის მომსახურე მსაჯებს. ამ არბიტრთა ვინაობა ჯერჯერობით საიდუმლოებითაა მოცული, მათი სია გამოქვეყნდება 31 იანვარს.

**1986 წლის** მსოფლიო ჩემპიონმა არგენტინის ფეხბურთელთა ნაკრებმა მონაკოში საწვრთნელი მატჩი გამართა „მონაკოსთან“, რომელიც საფრანგეთის ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში გამოდის. არგენტინელებმა მარცხი იწვნიეს ანგარიშით 0:2, თუმცა, უნდა ითქვას, რომ მათ რიგებში არ გამოდიოდა რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი, მათ შორის დიეგო მარადონაც.

**ესპანეთის** თასის გათამაშებაში გაიმართა მეოთხედფინალის შეხვედრები. მადრიდის „რეალმა“ ანგარიშით 3:0 მოუგო ქ. ვალიადოლიდის „რეალს“, „სპორტინგმა“ და „კადისმა“ ფრედ ითამაშეს — 0:0. სარაგოსას „რეალმა“ დაამარცხა „ვალენსია“ — 2:1.

**ლისაბონში** მოეწყო 4 კლუბის საერთაშორისო ტურნირი. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „სპორტინგი“ და ჰოლანდიის „აიაქსი“, ანგარიშით 2:0 გაიმარჯვა „სპორტინგმა“. მესამე ადგილი დაიკავეს „ბენფიკას“ ფეხბურთელებმა, რომლებმაც ჰოლანდიის „ეინდჰოვენს“ მოუგეს.

**იტალიაში** მიმდინარეობს ამ ქვეყნის საფეხბურთო თასის გათამაშება. „მილანმა“ მეოთხედფინალში დიდი ანგარიშით დაამარცხა მეორე ლიგის „მესინა“ — 6:0, „ნაპოლიმ“ მოუგო „ბოლონიას“ — 2:0. „ასკოლისა“ და „ინტერის“ შეხვედრა დამთავრდა „ასკოლის“ გამარჯვებით — 2:1.

ტურინის „იუვენტუსმა“ მხოლოდ დაძაბული ბრძოლის შემდეგ მინიმალური ანგარიშით დაამარცხა „პესკარა“ — 1:0. ერთადერთი ბურთი ა. ზავაროვმა გაიტანა.

# „ფიქრები ქართულ ფეხბურთზე“

## (ნაწყვეტები ანდრო ჟორდანიას წიგნიდან)

**„განა** ვინმეს ოდესმე შეუმოწმებია ეს ფაქტები, ვინმე დაინტერესებულა, თუ რატომ არის ასე „ძნელი“ კოლექტივი თბილისის „დინამო“? იმიტომ ხომ არ ხდება ეს, რომ ჩვენი რესპუბლიკის პირველ გუნდს იმაზე მეტი ბიძა და ძიძა აღმოუჩნდება, ვიდრე ეს საჭიროა? ამას მიუმატეთ ის გავლენიანი მეცენატები, რომელნიც გარდა გუნდისა, კიდევ ცალკეულ ფეხბურთელებს შეფობენ, ერევიან მწვრთნელთა საქმიანობაში, აყოყოჩებენ თავიანთ კერპებს და ხელს უშლიან გუნდის ხელმძღვანელობას. რა დასამალია, ცოდვა გამოტეხილი ჯობს, ზოგი ფეხბურთელი ცდილობს ხოლმე მწვრთნელს თავისი ნება-სურვილი მოახვიოს თავს, რადგან გრძნობს მხარდაჭერას უფრო გავლენიანი და მძლავრი პიროვნებისას, ვიდრე მწვრთნელია. ასეთ შემთხვევაში თითოეული სპორტსმენისათვის ანგარიშის გაწევა, რომ ვიღაცას „ზევით“ რამე არ ეწყინოს, იწვევს მუშაობის ჩაშლას, არაპრივილეგირებულ ფეხბურთელთა უკმაყოფილებას და საბოლოო ჯამში მწვრთნელი იძულებულია დატოვოს კოლექტივი. არ შველის საქმეს ყოველთვის არც მწვრთნელის პრინციპულობა, — „ჯიუტ“ მწვრთნელსაც ადვილად მოიშორებენ ხოლმე. ძნელია და არც არის საჭირო ყველა დეტალის გამოტანა მკითხველთა სამსჯავროზე, მაგრამ დეტალებს რომ თავი დავანებოთ, ყველგან რომ ფრჩხილებიც არ გავხსნათ, საკმარისია თუნდ ერთი კითხვის დასმაც, რათა ნათელი გახდეს, რა აჩქარებულად გამოაქვს ხოლმე დასკვნები სპორტული ორგანიზაციების ხელმძღვანელობას. მე დიდ პატივს ვცემ თბილისის „დინამოს“ მწვრთნელებს, მათ შორის რამდენიმე გაუძლებს ყოველგვარ შედარებას მსოფლიო ასპარეზზე აღიარებულ მწვრთნელებთან. მე არ შემიძლია ერთმანეთს დავუპირისპირო ისინი, მაგრამ მაინც შეიძლებოდა ერთი ფაქტის აღნიშვნა (განგებ მომყავს უკანასკნელი წლების ფაქტი, რომელიც კარგად ემახსოვრება მკითხველს). 1964 წელს, როცა თბილისის „დინამო“ ფეხბურთის ოლიმპოზე ავიდა, მას ხელმძღვანელობდა შესანიშნავი მწვრთნელი გ. კაჩალინი. რა თქმა უნდა, გ. კაჩალინმა ბევრი გააკეთა გამარჯვებისათვის, შეძლო მონოლითური გაეხადა კოლექტივი, იგი ფსიქოლოგიურად მოამზადა დიდი მწვერვალის დაპყრობისათვის. შესაძლოა, კაჩალინი რომ გუნდში არ მოსულიყო, თბილისის „დინამო“ ჩემპიონი ვერ გამხდარიყო. მაგრამ მაინც, განა უცნაური არ ჩანს მ. იაკუშინის განთავისუფლება სეზონის დასაწყისში, როცა გუნდს ექვსი თამაშიდან თითქმის მაქსიმუმი — 11 ქულა ჰქონდა და ლიდერი იყო. ყველაფრიდან ჩანდა, რომ გუნდი სეზონისათვის კარგად იყო მომზადებული, მოსამზადებელ პერიოდში შეძენილი ფიზიკური გამძლეობა გუნდს ბოლომდე ეყო და ტაშკენტის ღირსსახსოვარი მატჩის შემდეგაც იგი გამოიყურებოდა ისე, თითქოს შუა სეზონის მატჩს ატარებდა. ყველას ახსოვს, თუ როგორ გაუჭირდა პირველ ხანებში გუნდსაც და გ. კაჩალინსაც წამყვანი პოზიციების შენარჩუნება — მომდევნო სამ თამაშში გუნდმა 5 ქულა დაკარგა! მართლაც ჭეშმარიტი გმირობა იყო ფეხბურთელებისა და გ. კაჩალინის მხრივ, რომ გუნდმა იმ სეზონში შეძლო ჩემპიონის ტიტულის მოპოვება, არ დაკარგა საკუთარი ძალების რწმენა!

მკითხველი კარგად ხედავს, რომ გ. კაჩალინის დიდ დამსახურებას მე სათანადოდ ვაფასებ, მაგრამ მ. იაკუშინის განთავისუფლება გუნდიდან გაუმართლებლად მეჩვენება. თვით მ. იაკუშინმაც შესანიშნავად იცის, რატომ მოხდა ეს ამბავი, მკითხველმა კი შეიძლება არ იცოდეს. მე მხოლოდ ერთს ვიტყვი: მ. იაკუშინი არ არის ისეთი ყაიდის ადამიანი, რომ მას ადვილად მოახვიო თავს შენი ნება-სურვილი...

**მახსოვს** ერთმა დიდად პატივცემულმა მანდილოსანმა საკმაოდ უხეშად მითხრა: „აი თქვენ, კაცი გაჭაღარავებულხართ და ვერ მიხვდით, რომ ფეხბურთელებს ასწავლოთ — ნუ მოარტყამენ ბურთს ხეს!“ (იგი ფეხბურთის კარის ძელებს გულისხმობდა!). მე ვუთხარი: „ქალბატონო, ეგ ძნელი სასწავლებელია, მე ვერ მოგცემთ პირობას, რომ ვასწავლო ფეხბურთელებს, როგორ არ მოარტყან ბურთი „ხეს“. პატივცემული მანდილოსანი ნაწყენი დარჩა. ერთმა ამხანაგმა მითხრა: — „რა გენაღვლებოდა, გეთქვა, ვასწავლიო!“. მაგრამ ასე რომ მეთქვა და ჩემს ბიჭებს შემდეგ თამაშზე კვლავ ძელისთვის მოერტყათ ბურთი, სადღა წავსულიყავი? აი, ზოგჯერ ასეთი მსაჯული გვყავს ხოლმე!

**ამას** წინათ, ანეკდოტად მიამბეს ნამდვილად მომხდარი ამბავი, ჩემი ყურით რომ მოვისმინე. ერთერთ თამაშზე ჩვენებმა ვერ გამოიყენეს თერთმეტმეტრიანი საჯარიმო. თამაშის შემდეგ თავს დაგვესხა ერთი პატივცემული მოქალაქე და გვიყვირა:

— ბერძენიშვილი ხომ არ აფუჭებდა პენალტს?

— არა!

— რატომ არ დაარტყმევინეთ?

— ბერძენიშვილი უკვე აღარ თამაშობს ფეხბურთს, ხანში შევიდა.

— როგორ, პენალტის დარტყმა აღარ შეუძლია?

— კი შეუძლია...

— აბა, გამოგეყვანათ, დაერტყა პენალტი და გასულიყო მერე!..

სადღა წავსულიყავით არ ვიცოდით, ტუჩები დავიკვნიტეთ, რომ არ გაგვცინებოდა...

რა უშავს, როცა ასეთი „მცოდნეები“ მხოლოდ უბრალო გულშემატკივრები არიან, მაგრამ როცა უბრალოები არ არიან, მაშინ სადღა მიდიხარ? ჰოდა, ამ ორი ანეკდოტის არც ერთი გმირი არ გახლდათ უბრალო გულშემატკივარი, — მათ ზოგი რამ ხელეწიფებოდათ...

**ვფიქრობთ,** დადგა დრო, რომ დაისვას საკითხი საკავშირო პირველობაში შეიქმნას „ბ“ კლასის რესპუბლიკური ზონა საქართველოსათვის. ამჟამად ჩვენ 9 გუნდი გვყავს „ბ“ კლასში. როგორ თამაშობენ ეს გუნდები, ვინ თამაშობს ამ კოლექტივებში, ვინ არის პასუხისმგებელი მათს შედეგებზე? ჯერ ერთი, ეს ცხრა გუნდი მონაწილეობს რსფსრ IV ზონაში, ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი ჩვენ გაძიძავებული გვყავს. რსფსრ-ს ფეხბურთის ფედერაცია, ცხადია, მათი თამაშით მხოლოდ მაშინ თუ დაინტერესდება, როცა რომელიმე გუნდი წესრიგს დაარღვევს. ასე გამოჩნდა, მაგალითად, ცენტრალურ სპორტულ პრესაში შენიშვნები იმის შესახებ, რომ ზუგდიდის სტადიონზე წესრიგი დაარღვიესო. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას, ცხადია, რაკი ხელი აღარ მიუწვდება ამ გუნდების კალენდარზე, საერთოდ არც უფიქრია მათს ხელმძღვანელობაზე. ასე რომ, გაძიძავებული გუნდები დედას არ ახსოვს და ძიძას მათთვის ვერ მოუცლია!.. ვისთვის არის ასეთი მდგომარეობა ხელსაყრელი? ცხადია, იმათთვის, ვინც საქმის გაკეთებას და პასუხისმგებლობას გაურბის! მართლაც, როგორ გინდა მოთხოვო პასუხი საქართველოს ფებურთის ფედერაციას „ბ“ კლასის გუნდებზე, როცა ისინი რსფსრ IV ზონაში თამაშობენ. ან რა პასუხი მოეკითხება რუსეთის ფეხბურთის ფედერაციას, როცა ეს გუნდები მასთან მხოლოდ სტუმრად არიან?

მე ვფიქრობ, საჭიროა საქართველოში შეიქმნას დამოუკიდებელი „ბ“ კლასის ზონა 12-14 გუნდის შემადგენლობით. ნუ დაგვავიწყდება, რომ საქართველო ფეხბურთის მოწინავე რესპუბლიკაა. თუ რსფსრ-ში ექვსი ზონაა, ხოლო უკრაინაში სამი, საქართველოში შეიძლებოდა ერთი დამოუკიდებელი ზონის შექმნა. როცა ეს ზონა შეიქმნება, მისი ხელმძღვანელობა უფრო ადვილი იქნება, მეტი დრო დარჩება ვარჯიშისა და თამაშებისათვის. ჩვენ შევძლებთ ოსტატთა გუნდებში ჩავაბათ მეტი ახალგაზრდობა, ეს კი ჩვენი ზრდის საწინდარი იქნება. საქართველოში ფეხბურთის განვითარებისათვის ხელშეწყობით დაინტერესებული უნდა იყოს აგრეთვე საკავშირო ფეხბურთის ფედერაცია, რადგან ჩვენს გუნდებს ბევრი ექსტრაკლასის ფეხბურთელი შეუძლიათ შესძინონ საბჭოთა ფეხბურთს. განა ცოტას ნიშნავს ის ფაქტი, რომ 1965 წელს პირველ საკავშირო ნაკრებში ითამაშეს ს. მეტრეველმა, მ. მესხმა, მ. ხურცილავამ, გ. სიჭინავამ, ვ. ბარქაიამ, ს. კუტივაძემ, ოლიმპიურ ნაკრებში — ვ. რეხვიაშვილმა, გ. ხართიშვილმა, ე. ხუციშვილმა, ვ. ჭელიძემ, ა. ილიადიმ, დ. ვეკუამ, ჭაბუკთა ნაკრებში კ. ასათიანმა და სხვებმა?

სამართლიანად აღნიშნავდა გ. კაჩალინი ერთ-ერთ თავის წერილში, რომ 1965 წელს საბჭოთა კავშირის არც ერთ გუნდს არ ჰყოლია იმდენი ფეხბურთელი ნაკრებ გუნდებში, რამდენიც თბილისის „დინამოს“ და ეს 1965 წელს — „დინამოს“ წარუმატებლობის წელს! (1966 წელს თბილისის „დინამოდან“ ექვსი ფეხბურთელი მოხვდა ნაკრებ გუნდებში). ეს ფაქტი მეტყველებს იმაზე, რომ საკავშირო ფედერაცია და ნაკრების ხელმძღვანელობა მაღალი აზრის არის ჩვენს ფეხბურთელებზე, აფასებს მათ ოსტატობას (რასაც, სამწუხაროდ, ამ ცოტა ხნის წინათ ვერ იჩენდნენ), ამიტომ ისინი ხელს შეუწყობენ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ფეხბურთის განვითარების საქმეში, „ბ“ კლასში ახალი ზონის ჩამოყალიბების საქმეში. მაგრამ ჩვენ რომ არ ვიჩენთ ინიციატივას? თუ საქართველოს ზონაში ითამაშებს 12-14 გუნდი, შეგვიძლია შევადგინოთ მტკიცე კალენდარი, თამაშები ჩავატაროთ მხოლოდ კვირაობით. მაშინ ფეხბურთელებს ექნებათ დრო ვარჯიშისთვისაც, დასვენებისთვისაც და სწავლისთვისაც. შეიძლება გვითხრან, რომ არ არის მიზანშეწონილი მხოლოდ საკუთარ გუნდებთან შეხვედრა, ნოვოროსიისკის, მაიკოპის, სუმგაითის და სხვა ქალაქების გუნდები უკეთ შეგვასწავლიან ფეხბურთსო. რას იზამ, გამოჩნდებიან ასეთი კრიტიკოსებიც! მაგრამ თუ საქმეს კეთილსინდისიერად მოვკიდებთ ხელს, თუ „ბ“ კლასის გუნდებს მოვაქცევთ საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში, თუ ახალგაზრდა ფეხბურთელს ეცოდინება, რომ მისი კარგი თამაში პრესაში აღინიშნება, მას გაიცნობენ რესპუბლიკაში, მას ყურადღებას მიაქცევს ყველა ქართველი ფეხბურთელისთვის სანუკვარი გუნდი „დინამო“. მაშინ ეს ახალგაზრდა თაობისათვის უკეთესი „ცემენტი“ და „ფოლადი“ იქნება, ვიდრე ნოვოროსიისკისა და სუმგაითის გუნდების სატურნირო გამოცდილება.

გარდა ამისა, „ბ“ კლასის გუნდებს უნდა ჰქონდეთ სხვა სტიმულიც: ჩვენ ხომ „ა“ კლასში ხუთი გუნდი გვყავს! რესპუბლიკის ჩემპიონს, „ბ“ კლასში გამარჯვებულს, უნდა ექნეს საშუალება შეცვალოს „ა“ კლასის ერთ-ერთი გუნდი, რომელიც უარეს ადგილს დაიკავებს ჩვენი რესპუბლიკის გუნდებს შორის. ეს ხომ უდიდესი სტიმული იქნება ახალგაზრდობისათვის, „ბ“ კლასის გუნდებისათვის! გარდა ამისა, იმ გუნდებისათვის, რომელნიც „ბ“ კლასში ვერ მოხვდებიან, უნდა ჩატარდეს ცალკე პირველობა და მათ შორის საუკეთესოს უნდა მიეცეს საშუალება შეცვალოს „ბ“ კლასის სუსტი გუნდი! თუ ასეთი ცირკულაცია არ იქნება, ცხადია, „ბ“ კლასის გუნდები ისევე არხეინად იქნებიან, როგორც 1965 წელს იყო რუსთავის „მეტალურგი“. XIX ადგილზე გასვლა მას არ ემუქრებოდა „ბ“ კლასიდან გავარდნით, შემდეგ წელს ითამაშებდა და თუ მოისურვებდა, ჯინაზე ისევ XIX ადგილს მოიპოვებდა, თუკი ამას მონაპოვარი ჰქვია!

უნდა გადავხედოთ აგრეთვე საქართველოს პირველობაში მონაწილე გუნდების მწვრთნელთა შემადგენლობას. ზოგი მათგანი, სამწუხაროდ, ვერ ასრულებს თავის მოვალეობას, ზოგს საამისოდ უნარი არ ჰყოფნის, ზოგს თავის საჩრჩენად შეუფარებია თავი გუნდისათვის და, ესე იგი, სინდისი არ ჰყოფნის, ზოგს კი არც ერთი აქვს და არც მეორე, სამწუხაროდ, ხშირად ხდება, რომ ნაცნობობით და ბიძაშვილობით ფეხბურთელთა გუნდს ანდობენ სხვა საქმეში ხელმოცარულ და უპერსპექტივო ადამიანებს. მაგრამ მწვრთნელი ხომ პედაგოგია, განა შეიძლება ასე უგულისყუროდ ვეკიდებოდეთ ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს?“



სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

# ლიდერის ორი მარცხი

**გაიმართა უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩები.**

**ტალინი.** ადგილობრივი „კალევი" ბოლო ტურების შეხვედრათა შედეგებით კმაყოფილი უნდა იყოს. მან ორი დამარცხება აგემა ზედიზედ გათამაშების ერთპიროვნულ ლიდერს ცსკა-ს. მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ წარმატება ესტონელ კალათბურთელებს ორივე შემთხვევაში ზუსტმა სამქულიანმა სროლებმა მოუტანა. ამ შეხვედრათა ანგარიშები ასეთია: 82:79 (51:42) და 87:78 (49:40).

**მინსკი.** ოთხი ქულა ჩაიწერეს სატურნირო ცხრილში რადიოტექნიკის ინსტიტუტის კალათბურთელებმაც, რომლებმაც ორჯერ აჯობეს აუტსაიდერს — ვილნიუსის „სტატიბას" — 94:74 (51:32) და 77:65 (50:37).

**გათამაშების ცხრილი**

**მდგომარეობა 12 იანვრისთვის**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ცსკა | 25 | 21 | 4 | 46 |
| ასკ (ალმა-ათა) | 22 | 15 | 7 | 37 |
| ვეფ (რიგა) | 24 | 13 | 11 | 37 |
| რტი (მინსკი) | 26 | 11 | 15 | 37 |
| „ბუდიველ." (კ.) | 22 | 14 | 8 | 36 |
| „კალევი" (ტალინი) | 23 | 13 | 10 | 36 |
| „ჟალგირ." (კაუნ.) | 23 | 11 | 12 | 34 |
| „დინამო" (მოსკ.) | 20 | 13 | 7 | 33 |
| „სპარტ." (ლენ.) | 24 | 9 | 15 | 33 |
| „დინამო" (თბ.) | 21 | 9 | 12 | 30 |
| „შახტ." (დონ.) | 22 | 7 | 15 | 29 |
| „სტატ." (ვილნ.) | 24 | 2 | 22 | 26 |

**ინფორმაცია**

**მონტევიდეო.** 14 წლის ურუგვაელმა მოზარდმა მოცურავემ ანდრეს ბუტერიმ გაიმარჯვა ტრადიციულ მასობრივ გაცურვაში მდინარე ურუგვაიზე. ბუტერიმ 1350 მეტრი დაფარა 15 წუთსა და 18 წამში. ამ, ერთგვარად უნიკალური სპორტული მიღწევის ავტორი, ქვეყნის ეროვნული ნაკრების წევრიც გახლავთ და ამჟამად ინტენსიურად ემზადება სამხრეთ ამერიკის მოცურავეთა ჩემპიონატისთვის, რომელიც მარტში ბრაზილიის ქალაქ რიო-დე-ჟანეიროში ჩატარდება.

# სპორტის სიყვარულით

**ცნობილია,** რომ მსოფლიოს ვოკალური ხელოვნების ერთ-ერთმა უბრწყინვალესმა ოსტატმა თედორე შალიაპინმა პროფესიული სასცენო მოღვაწეობა თბილისში დაიწყო მომღერალ დ. უსატოვთან და აქვე შეასრულა პირველად (1893–1894 წწ. სეზონში) მეფისტოფელისა (გუნოს „ფაუსტი") და მეწისქვილის (დარგომიჟსკის „ალი") პარტიები.

ნაკლებად ცნობილია ის, რომ ფ. შალიაპინი სპორტის დიდი მოტრფიალე იყო და თავადაც გატაცებით ფარიკაობდა, ცურაობდა, ჭიდაობდა. განსაკუთრებით კარგად ფლობდა იგი ფრანგული (კლასიკური) ჭიდაობის ილეთებს და გადაწყვეტილიც ჰქონდა საქველმოქმედო მიზნით მონაწილეობა მიეღო პროფესიონალ მოჭიდავეთა ტურნირში.

ფ. შალიაპინი დიდ პატივს სცემდა იტალიელ ბარიტონს, ბელკანტოს ბრწყინვალე ოსტატს მატია ბატისტინის და თავს მის მოწაფედაც თვლიდა. ერთხელ მან იტალიელი მომღერლის შესახებ დაწერა:

— ვოკალისტი, რომელსაც სურვილი აქვს დიდხანს შემორჩეს სცენას, ახლო კავშირში უნდა იყოს სპორტთან. შარშან ამის თაობაზე ვესაუბრე მატია ბატისტინის, რომელიც გამომიტყდა, რომ სპორტის დიდი თაყვანისმცემელია. მას თურმე განსაკუთრებით უყვარს ცხენოსნობა და ზაფხულობით მთელ თავისუფალ დროს თავის საყვარელ ოთხფეხა მეგობართან ატარებს. შეკითხვაზე, თუ როგორ შეინარჩუნა ასე დიდ ხანს ხმის ჟღერადობა, მიპასუხა: მთავარია სკოლა, სპორტი და ნორმალური ცხოვრება.

შალიაპინი რომ გატაცებული იყო სპორტით, ამ ფოტოდანაც კარგად ჩანს (თვითონ მარჯვნივაა). იგი გადმობეჭდილია 1912 წლის 29 ივლისის (№31) ჟურნალ „ოგონიოკიდან".



**პროფესიული კრივის ამბები**

**თუ გნებავთ, კრივის ანტიპროპაგანდა!**

„სირცხვილი და თავლაფისდასხმა, აი რა ვუწოდოთ ამ მატჩს" — წერს იტალიური გაზეთი „კორიერე დელა სერა" ქ. ჩეზანაში გამართული შეხვედრის შესახებ. აქ ცნობილი იტალიელი ოსტატი დამიანი (ახლად შექმნილმა გაერთიანებამ „უორლდ ბოქსინგ ორგანიზეიშნმა" იგი ამასწინათ მსოფლიო ჩემპიონად გამოაცხადა მძიმე წონის პროფესიონალებს შორის. სამი ფართოდ ცნობილი მსოფლიო ფედერაცია მსოფლიო ჩემპიონად ტაისონს აღიარებს) შეხვდა არგენტინელ ნეტოს.

ეს იყო, თუ გნებავთ, კრივის ანტიპროპაგანდა! წერს იგივე გაზეთი. საქმე ის არის, რომ პრეტენდენტმა ვერავითარი წინააღმდეგობა ვერ გაუწია 14 კილოგრამით უფრო მძიმე დამიანის. უფრო მეტიც, როგორც მატჩზე დამსწრე ექსპერტები მიიჩნევენ, ნეტომ ერთი ხეირიანი დარტყმაც ვერ მიაყენა მეტოქეს და მეორე რაუნდში ნოკაუტში აღმოჩნდა.

ასეთი სამარცხვინო დებიუტის მიუხედავად, ახლად შექმნილი „უორლდ ბოქსინგ ორგანიზეიშნი", რომელსაც ეხმარება იტალიაში ყველაზე მდიდარი ადამიანი, „მილანის" ფეხბურთელთა გუნდის მეპატრონე ბერლუსკონი, მთელი რიგი ღონისძიებების განხორციელებას აპირებს, რომელთაც იგი მსოფლიო პირველობის მატჩებს უწოდებს.

**ორი დაუმარცხებლის მატჩი**

მეხიკო-სიტიში დიდი ინტერესი გამოიწვია უმჩატეს წონით კატეგორიაში აქამდე უძლეველი ორი პროფესიონალი მოკრივის მსოფლიო ჩემპიონ („უორლდ მოქსინგ კორპორეიშნის" ვერსიით) მექსიკელ ხულიო სესარ ჩევესისა და არგენტინელ პრეტენდენტ ალბერტო კორტესის შეხვედრამ.

აი მეტოქეთა შედეგები ამ ორთაბრძოლამდე: 27 წლის ჩევესმა, როგორც პროფესიონალმა მოკრივემ, ჩაატარა 67 ბრძოლა და ყველა მოიგო! 26 წლის კორტესმა ასევე მოიგო ყველა 44 შეხვედრა პროფესიულ რინგზე!

ყველაფერი ეს ასეა, მაგრამ თვით შეხვედრამ გულშემატკივრებს სრულიად გაუცრუა იმედები. ორ რაუნდს კორტესმა ასე თუ ისე გაუძლო, მაგრამ მესამე რაუნდში წუთისა და რვა წამის შემდეგ ნოკაუტში აღმოჩნდა.

მაშ ასე, ჩევესს ახლა უკვე 68 მოგება აქვს!

**შესაძლებელია ლუისისა და ჯონსონის შეხვედრა?**

როგორც გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი" იუწყება, დაიწყო მოლაპარაკება იმის შესახებ, რომ წელს ერთმანეთს შეხვდნენ ორი გამოჩენილი მორბენალი კარლ ლუისი (აშშ) და ბენ ჯონსონი (კანადა). ამის შესახებ გაზეთის კორესპონდენტს ესაუბრა ლუისის მენაჯერი ჯო დუგლასი, რომელსაც მიაჩნია, რომ ყველაფერი მოგვარდება, თუკი გამოჩნდება სპონსორი, რომელიც 6 მილიონ დოლარს გაიღებს.

განთქმული მორბენლების ამ შესაძლებელი „დუელით" დაინტერესდა მენეჯერი ბობ არემი, რომელიც ჩვეულებრივ მატჩებს აწყობს ხოლმე... კრივში. მან განაცხადა, რომ შეხვედება თვით სპორტსმენებსა და მათ მწვრთნელებს, თუმცა დიდ სიძნელეებს ქმნის ის გარემოება, რომ ჯონსონი დისკვალიფიცირებულია.

თუკი ყველა საკითხი გადაწყდა, მაშინ მორბენლები ერთმანეთს უნდა შეეჯიბრონ სექტემბერში ბარსელონაში, ჯონსონის დისკვალიფიკაციის ვადის გასვლის რამდენიმე დღის შემდეგ.

**ნხლ-ს სნაიპერები**

**მონრეალი.** კანადის პრესაში დაიბეჭდა სტატისტიკური მონაცემები ნხლ-ს პროფესიულ ლიგის კლუბებში მოთამაშე საბჭოთა ჰოკეისტებზე. მათ შორის საუკეთესო შედეგი აქვს მაკაროვს, რომელიც კალგარის გუნდში თამაშობს: 43 შეხვედრაში 48 ქულა (10 გატანილი შაიბა და 38 საგოლე პასი). მომდევნო ადგილებზე არიან: ლარიონოვი („ვანკუვერი") — 40 თამაშში 31 ქულა (12 პლიუს 19), კრუტოვი („ვანკუვერი") — 34 თამაშში 21 ქულა (6 პლიუს 15), ფეტისოვი („ნიუ-ჯერსი") — 33 თამაშში 13 ქულა (2 პლიუს 11), ბალდერისი („მინესოტა") — 16 თამაშში 6 ქულა (3 პლიუს 3).

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ არც ერთი საბჭოთა ჰოკეისტი არ შედის 23 უძლიერესი სნაიპერის სიაში. აქ, როგორც მოსალოდნელია, პირველ ადგილზეა გრეცკი („ლოს-ანჯელესი") — 42 თამაშში 88 ქულა (22 პლიუს 66). მეორე ადგილზეა ლემიე („პიტსბურგი") — 41 თამაშში 82 ქულა (27 პლიუს 55).

# პელეს პროგნოზი

**ბრაზილიელმა** ფეხბურთელმა პელემ „ჟორნალ დუ ბრაზილის" კორესპონდენტთან საუბარში დაასახელა რამდენიმე გუნდი, რომლებიც მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის ფავორიტებად ითვლებიან.

პელეს აზრით, მომავალი მსოფლიო ჩემპიონატი თამაშის მაღალი დონით უნდა აღინიშნოს, მაყურებელი მრავალ საინტერესო ბრძოლას იხილავს, ვინაიდან მინდორზე გამოვლენ ცნობილი ოსტატები მარადონა, გულიტი, ვან ბასტენი, კარეკა და სხვანი.

პელემ მომავალი ჩემპიონატის ფავორიტებს მიაკუთვნა ბრაზილიის, იტალიის, არგენტინის, ჰოლანდიის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის გუნდები. გამოჩენილი ფეხბურთელის აზრით, წარმატებას მიაღწევს ის, ვინც უკეთ გამოიყენებს უსწრაფეს მანევრს, უკეთ შეასრულებს და განახორციელებს მოულოდნელ კონტრშეტევებს. მან აღნიშნა, გფრ-ის გუნდის შუა რგოლის დიდი ბრძოლისუნარიანობა, ბრაზილიელთა ტექნიკური სრულყოფა, ჰოლანდიელთა სტაბილურობა. იტალიელებს საკუთარი მაყურებლების წინაშე გარკვეული უპირატესობა აქვთ, შესაძლოა ამ გუნდმა მეოთხედ მოიპოვოს მსოფლიო ჩემპიონობა. რაც შეეხება არგენტინელებს, პელე მათ პრემიერთა როლს არ მიაკუთვნებს, ვინაიდან გუნდის თამაში და წარმატება მთლიანად დამოკიდებულია მხოლოდ ერთი ფეხბურთელის — დიეგო მარადონას თამაშზე.

**„სპორტლოტო"**

**გაერთიანება** „სოიუზსპორტლოტომ" შეაჯამა ლატარია „სპორტლოტოს" 1990 წლის პირველი ტირაჟების შედეგები.

**„სპორტლოტო 6 45"-დან:** ტირაჟში დაშვებულია 1.305.459 ვარიანტი. ექვსი ნომერი არავის გამოუცნია, ხუთი ნომრის გამოცნობისთვის (22) მოგება 2119 მანეთია, ოთხისთვის (1285) — 45, სამისთვის (22842) — 4.

„საქართველოში: დაშვებულია 32.504 ვარიანტი. 6 — 0, 5 — 1 (ხაშური), 4 — 20, 3 — 519.

**„სპორტლოტო 5 36"-დან:** ტირაჟში დაშვებულია 13.121.292 ვარიანტი. ხუთი ნომრის გამოცნობისთვის (29) მოგება 10000 მანეთია, ოთხისთვის (4572) — 136, სამისთვის (150433) —7.

საქართველოში: დაშვებულია 366.728 ვარიანტი. 5—1 (თბილისი), 4—152, 3— 4355.

პირველი და 1989 წლის 45-ე ტირაჟიდან 1990 წლის პირველი ტირაჟის ჩათვლით მონაწილე ათტირაჟიანი ბილეთების მოგებები გაიცემა 1990 წლის 27 იანვრიდან 27 თებერვლის ჩათვლით.

**„სპორტპროგნოზი"**

**გაერთიანება** „სოიუზსპორტლოტომ" შეაჯამა ლატარია „სპორტპროგნოზის" 1990 წლის პირველი ტირაჟის შედეგები.

ტირაჟში დაშვებულია 3.318.453 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (3425) მოგება 15 მანეთია, 12 შედეგის გამოცნობისთვის (36.594) — 3 მანეთი, 11 შედეგის გამოცნობისთვის (326.226) — 2 მანეთი.

საქართველოში: დაშვებულია 200.382 ვარიანტი. 13—134, 12—1759, 11 — 8301.

პირველი ტირაჟის მოგებები გაიცემა 1990 წლის 27 იანვრიდან 27 თებერვლის ჩათვლით.

# ნახევარფინალში გავიდა

**საჩოგბურთო** ცხოვრების ეპიცენტრმა დროებით ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში გადაინაცვლა. წლის დასაწყისში ამ რეგიონში ბევრი საერთაშორისო ტურნირი ტარდება. მათი გვირგვინია ავსტრალიის ღია ჩემპიონატი, რომელიც „დიდი მუზარადის" წლევანდელი გათამაშების სასტარტო შეჯიბრებას წარმოადგენს.

მანამდე კი... ახალი სამხრეთ უელსის შტატის ღია ჩემპიონატში ნატალია ზვერევამ კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვა და ტურნირის მეოთხე წრეში გავიდა. ამჯერად მან საკმაოდ ადვილად მოუგო ფრანგ იზაბელ დემონჟოს — 6:1, 6:1. დამარცხდა მეორე ნომრად განთესილი ჩეხოსლოვაკიელი იანა ნოვოტნა. მას აჯობა ამერიკელმა ემი ფრეზიერმა 6:3, 6:4. გათამაშებას გამოეთიშა ავსტრალიელი ჰანა მანდლიკოვაც თანამემამულე იუდიტ ვაისნერთან წარუმატებლობის შემდეგ — 6:7, 3:6.

ვაჟთა ტურნირის მეორე წრე უიღბლო აღმოჩნდა უფელი ანდრეი ჩერკასოვისთვის. მას ცნობილმა ფრანგმა ჩოგბურთელმა იანიკ ნოამ მოუგო — 6:1, 6:4.

ტურნირის მთავარი სენსაცია მოხდა მეორე წრეში, — ფავორიტი, დასავლეთგერმანელი ბორის ბეკერი თავის თანამემამულე კარლ-უვე შტეებთან დამარცხდა — 6:7, 3:6.

მოვიდა ცნობა იმის შესახებ, რომ ნატალია ზვერევამ მეოთხე შეხვედრაც მოუგო ფრანგ ჟიულ ჰალარდს (4:6, 6:2, 6:4) და ნახევარფინალში თამაშის უფლება მოიპოვა.

ამასობაში გამოვლინდა უძლიერეს ჩოგბურთელ ვაჟთა ოთხეული, რომელიც ახალი ზელანდიის ღია ჩემპიონატის მთავარი პრიზისთვის იბრძვის. კვარტეტში მოხვდნენ: ანდრეი ჩესნოკოვი, ამოს მანსდორფი (ისრაელი), რამეშ კრიშნანი (ინდოეთი) და სკოტ დევისი (აშშ).



# ფათერაკებით სავსე მეთხე ეტაპი

**„პარიზ-დაკარის"** ავტორალის მეთორმეტე ეტაპი, მისი ერთპიროვნული ლიდერისთვის არი ვატანენისთვის (ფინეთი) ერთობ დრამატული გამოდგა. 638-კილომეტრიანი ტრასის 270-ე კილომეტრზე მისი „პეჟო" ხეს შეასკდა, რის შედეგადაც მანქანას დაუზიანდა კომპასი და ეკიპაჟს გზა აერია. ამას გარდა, ავად გახდა მეორე პილოტი შვედი ბრუნო ბერგლუნდი და ვატანენი რამდენჯერმე შეჩერდა დისტანციაზე. შედეგად — ლიდერი ეტაპზე 40 წუთით ჩამორჩა გამარჯვებულ იაპონელ კენხირო შინოზუკას („მიცუბისი"). მაგრამ ვატანენი საერთო პირველ ადგილს მაინც ინარჩუნებს, თანაც მეორე ადგილზე მყოფ ფრანგ ფილიპ ვამბერგს 1 საათსა და 23 წამს უგებს.

ამ ეტაპზე ბელგიელი ჯეკი იქსი თავისი „ლადათი" მეცხრე იყო. საინტერესოა ისიც, რომ კენხირო შინოზუკამ რამდენიმე დღით ადრე მეცხრე ეტაპიც მოიგო.

სირთულეების წინაშე აღმოჩნდნენ მოტოციკლისტებიც. ეტაპზე გამარჯვება ესპანელმა ხორხე არკარონსმა მოიპოვა. რბოლის ერთპიროვნული ლიდერი იტალიელი ედი ორიოლი ამჯერად 4 წუთით ჩამორჩა ესპანელს და ფინიშთან მხოლოდ მეოთხე იყო, მაგრამ მოწინავე პოზიციას იგი მაინც ინარჩუნებს.

რალის მომდევნო, მეცამეტე ეტაპიც მალის ტერიტორიაზე გაივლის. დისტანციის სიგრძეა 412 კილომეტრი.

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-58,
„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66485

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 08701.